შრომითიხელშეკრულება№

(აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან)

თბილისი „-----„ „----------„ 20----წ

შპს - თბილისისჰუმანიტარულისასწავლოუნივერსიტეტი (შემდგომში - დამსაქმებელი), რექტორის, ვალენტინა საყვარელიძის, სახით, ერთი მხრივ, და საქართველოს მოქალაქე ---------- (შემდგომში - დასაქმებული) მეორე მხრივ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35 - ე მუხლისა და საქართველოს შრომის კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის, საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე

1.1. დასაქმებული უნივერსიტეტში მიიღება სამუშაოდ---------- თანამდებობაზე.

1.2. აფილირებულ აკადემიურ პერსონალსა და უნივერსიტეტს შორის არსებული სპეციალური შეთანხმება მისი უნივერსიტეტთან აფილირების შესახებ წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. აფილირებული აკადემიური პერსონალის საქმიანობა მოიცავს: სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ასევე საუნივერსიტეტოღონისძიებებში მონაწილეობას.

1.4. დასაქმებული, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს შეასრულებს პირადად, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, შინაგანაწესისა და აკადემიური დატვირთვის, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, სასწავლო პროცესისა და სხვა მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნათა დაცვით.

1.5. აფილირებულიპირის მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს:

ა) უნივერსიტეტისსახელით სამეცნიერო და სხვა სახის კონფერენციებში, სემინარებში, სამუშაო შეხვედრებში, სიმპოზიუმებში მონაწილეობა;

ბ) უნივერსიტეტში ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება, რომლის კვლევის შედეგები ეთვლება უნივერსიტეტს;

გ) უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების პროცესებში ჩართულობა;

დ) სტუდენტთა სამეცნიერო - კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობა;

ე) სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამისად სწავლება;

ვ) სასწავლო და სამეცნიერო -კვლევითი მუშაობის წარმოება;

ზ) საგამოცდო საკითხების, ტესტების, ბილეთების შედგენა და რეგულარული განახლება;

თ) სტუდენტთა შეფასების პროცესში მონაწილეობა და საგამოცდო ნაშრომების გასწორება;

ი) საგამოცდო პერიოდში გამოცდების მიმდინარეობის მონიტორინგი;

კ) სხვადასხვა კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მიღება.

1.6.აფილირებული .აკადემიური პერსონალის წლიური სასწავლო-სამეცნიერო და მეთოდური დატვირთვა, მისი რაოდენობრივი შეფასება და ზღვრული ნორმები განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 31 მაისი N12 დადგენილებით.

1.7. დასაქმებულის მიერ სამუშაოსშესრულების ადგილია: ქ. თბილისი, საქართველო, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №31.

1.8. დასაქმებულისსამუშაო დრო განისაზღვრებაყოველ სემესტრულად, მეცადინეობის ცხრილით და აკადემიური კალენდრით, რაც არ შეიძლება აღემატებოდეს კვირაში 40 საათს.

2. მხარეთა უფლებამოვალეობანი

2.1. აფილირებული პირი ვალდებულია

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო შეასრულოს პირადად;

ბ) უფლებამოსილების ფარგლებში, ჯეროვნად შეასრულოს თავისი მოვალეობები, რაც განსაზღვრულია მასთან გაფორმებული სპეციალური შეთანხმებით, უნივერსიტეტის დებულებით, პერსონალის მართვის პოლიტიკით და შინაგანაწესით;

გ) აფილირებული პირის სასწავლო დატვირთვა აკადემიური წლის განმავლობაში შეადგენს არანაკლებ - საათს, რომელიც მოიცავს სალექციო აუდიტორიებში, ლაბორატორიებში ჩასატარებელ მეცადინეობებზე დათმობილ (სააუდიტორიო-საკონტაქტო) საათებსა და საკონსულტაციო საათებს (სააუდიტორიო-----საათი, საკონსულტაციო -საათი);

დ) წლის განმავლობაში შეასრულოს სამეცნიერო კომპონენტი, ქვემოთ დასახელებული მისთვის სასურველი ერთ - ერთი შემდეგი აქტივობის სახით: მონოგრაფია /სახელმძღვანელო/სალექციო კურსი /პუბლიკაცია სამეცნიერო კომენტარებით); საერთაშორისო რეფერირებად/რეცენზიერებად სამეცნიერო ჟურნალებში/ სამეცნიერო კონფერენციის სრულ მოხსენებათა კრებულებში გამოქვეყნებული ნაშრომები; საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა/ეროვნულ, მათ შორის შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა/საერთაშორისო სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა/ეროვნულ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა;

ე) სამეცნიერო კომპონენტი შეასრულოს უნივერსიტეტის სახელით, ამასთანავე ორიენტირებული იყოს კვლევითი საქმიანობის პროცესშისტუდენტების ჩართულობაზე

ვ) აფილირებული პირი ვალდებულია გააფრთხილოს უნივერსიტეტი 30 დღით ადრე მისი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფილირების გადაწყვეტილების ან/და აფილირებაზე უარის თქმის შესახებ;

ზ) წერილობით შეატყობინოს დამსაქმებელს მის პირად მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ, ასეთი ცვლილებებიდან ერთი კვირის განმავლობაში;

თ) დამსაქმებლის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ინფორმაცია ადრინდელი საქმიანობის შესახებ და შეუფერხებლად წარუდგინოს ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული მონაცემები;

ი) უზრუნველყოს ყველა საბუთის, მიმოწერის შენახვა დადგენილი წესით;

კ) არ გათქვას კონფიდენციალური ან საავტორო უფლებებით დაცული ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, რაც შესაძლოა გახდეს მასთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი;

ლ) დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერება, აუხსნას სტუდენტებს აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების შინაარსი და მოუწოდოს მათ დასაცავად;

მ) დამსაქმებლის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მას სემესტრული ან/და წლიური ანგარიში მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში დაადასტუროს დოკუმენტურად;

ნ) დასაქმებული პირადად და სრულად აგებს პასუხს ნებისმიერი ზიანის და/ან დანაკარგისათვის, რომელიც მიადგება დამსაქმებელს, მის მიერ დაწესებულების ქონების არამიზნობრივად გამოყენების შედეგად ან დაუდევრობით.

2.2. აფილირებულპირს უფლება აქვს

ა) დაიკავოს აკადემიური თანამდებობა ან/და მოწვეული ლექტორის პოზიცია სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში თუ მისი დატვირთვა არ აღემატება კვირაში 12 საკონტაქტო საათს;

ბ) დაიკავოს მუდმივად ადმინისტრაციული თანამდებობა უნივერსიტეტში, იმ შემთხვევაში თუ მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით მისი დატვირთვა არ აღემატება 6 საათს;

გ) მოსთხოვოს უნივერსიტეტს წინამდებარე ხელშეკრულების, მისი უნივერსიტეტთან აფილირების შესახებ სპეციალური შეთანხმების, აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის, შინაგანაწესისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვა;

დ) უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს და სცდება მასზე დაკისრებული ფუნქციების შინაარსს. ასეთ შემთხვევაში იგი აღნიშნულ გარემოებათა თაობაზე დაუყოვნებლივ აფიქსირებს წერილობით და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ხელმძღვანელის ინფორმირებულობას;

ე) მოითხოვოს მისი სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, საინფორმაციო რესურსები და ინვენტარი;

ვ) მოითხოვოს შრომის ანაზღაურება მასთან გაფორმებული შრომით ხელშეკრულებაში განსაზღვრული ოდენობითა და წესით;

ზ) ისარგებლოს საქართველოში დაწესებული უქმე დღეებით;

თ) დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში მოითხოვოს შრომითი ურთიერთობის შეჩერება. ყოველი ასეთი შემთხვევა უნდა დასაბუთდეს სამედიცინოდაწესებულების მიერ გაცემულიცნობით;

ი) უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, ასეთ შემთხვევაში იგი აღნიშნულგარემოებათა თაობაზე დაუყოვნებლივ ატყობინებს დამსაქმებელს;

კ) მოითხოვოს მისი სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, საინფორმაციო რესურსები და ინვენტარი;

ლ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვაში კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის მარეგულირებელი აქტებისა და უნივერსიტეტთან სპეციალურიშეთანხმების შესაბამისად;

მ) ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;

ნ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;

ო) დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით წელიწადში 24 სამუშაო დღით;

პ) დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით – წელიწადში სულ მცირე 15 კალენდარული დღით.

2.3. **უნივერსიტეტს უფლებაქვს:**

ა) დამსაქმებელს უფლება აქვს, დასაქმებულისათვის შეტყობინებით დააზუსტოს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოებები, რომლებიც არ ცვლის ხელშეკრულების არსებით პირობებს;

ბ) შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. თუ შრომითი ხელშეკრულება არ ითვალისწინებს რომელიმე არსებით პირობას, ასეთი პირობის განსაზღვრა შესაძლებელია დასაქმებულისთანხმობით;

გ) შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა, რომელიც განპირობებულია კანონმდებლობის ცვლილებით, არ საჭიროებს დასაქმებულის თანხმობას;

დ) მოსთხოვოს დასაქმებულს უნივერსიტეტის დებულების, შინაგანაწესის, პერსონალის მართვის პოლიტიკისა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულება;

ე) დააზუსტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოებები, რამაც არსებითად არ უნდა შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

ვ) მოსთხოვოს დასაქმებულს ხელშეკრულების პირობების, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების, უნივერსიტეტის შინაგანაწესის, დაკავებული აკადემიური თანამდებობისთვის დადგენილი აკადემიური დატვირთვის, სასწავლო პროცესის და სხვა მარეგულირებელი წესების შესრულება;

ზ) დაგეგმოს და ჩაატაროს საკვალიფიკაციო შეფასებები;

თ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაცვით მიავლინოს დასაქმებული სამუშაოს შესასრულებლად ძირითადი სამუშაო ადგილისაგან სხვა განსაზღვრულ ადგილზე;

კ) შრომის შედეგების მიხედვით, დასაქმებულის მოტივაციის მიზნით,გამოიყენოსწახალისების ღონისძიებები, ხოლო, უნივერსიტეტის შინაგანაწესის, დებულების, შიდა ნორმატიული აქტების ან/და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენოს მის მიმართ შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობა, მათ შორის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა;

ლ) მოითხოვოს დასაქმებულისაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.4. უნივერსიტეტი ვალდებულია

ა) იზრუნოს დასაქმებულის პროფესიული განვითარებისთვის;

ბ) უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის დროული ანაზღაურება;

გ) კანონმდებლობით დადგენილ ჩარჩოებში უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის მიერ სწავლებისა და კვლევის თავისუფლება და შექმნას მისი საქმიანობისათვისშესაბამისი პირობები;

დ) უზრუნველყოს საჭიროების შემთხვევაში, (სასწავლო პროცესის დროს და/ან უნივერსიტეტის ტერიტორიაზე) დასაქმებულის პირველადი აუცილებელი (სასწრაფო) სამედიცინო მომსახურეობის გაწევისთვის ხელშეწყობა;

ე) დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას მოახდინოს დასაქმებულთან საბოლოო ანგარიშსწორება;

ვ) გააცნოს დასაქმებულს შინაგანაწესი, ეთიკის ნორმები, დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, მათში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შემთხვევაში, გააცნოს აღნიშნული ცვლილებები;

ზ) უზრუნველყოს დასაქმებულისათვის შესაბამისი პირობების შექმნა დაკისრებული ფუნქციებისა და ვალდებულებების შეუფერხებლად შესრულებისათვის;

თ) უზრუნველყოს დასაქმებულის შრომისა და სხვა სოციალური გარანტიები საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად;

ი) უზრუნველყოს დასაქმებული ყოველწლიური კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულებით;

კ) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას მოახდინოს დასაქმებულთან საბოლოო ანგარიშსწორება არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა.

3. ხელშეკრულებისმოქმედების ვადა

3.1. წინამდებარე შრომითი ხელშეკრულება დადებულია ---------- წლის ვადით და ამოქმედდება ----------წლის ------------------ დან.

4. შრომის ანაზღაურება

4.1. შრომის ანაზღაურება ერიცხება დასაქმებულს თვეში ერთხელ, არაუგვიანეს ყოველი მომდევნო თვის 20 რიცხვისა.

4.2. აფილირებულ პროფესორს შრომის ანაზღაურება მიეცემა შესასრულებელი სამუშაოს სრული მოცულობით შესრულების შემთხვევაში.

5.ზეგანაკვეთურისამუშაოდა მისი ანაზღაურება

5.1. ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება კვირაში40 საათს;

5.2. არასამუშაო დროს საკუთარი ინიციატივით (უფლებამოსილი პირის დავალების გარეშე) სამუშაოს შესრულებისას დასაქმებულს კომპენსაცია არ მიეცემა;

5.3. დასაქმებულს ზედმეტად ნამუშევარი თითოეული საათისთვის მიეცემა ხელფასის საათობრივი განაკვეთის 25 (ოცდახუთი) პროცენტით გაზრდილი ოდენობა.

6. დასაქმებულის პერსონალური მონაცემები

6.1. დამსაქმებელი უზრუნველყოფს დასაქმებულის პერსონალურ მონაცემთა დაცვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მას უფლება აქვს დაამუშაოს დასაქმებულის პერსონალური მონაცემები მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;

6.2. დასაქმებული თანახმაა ინფორმაცია მის შესახებ (ვინაობა, ფოტოსურათი, პროფესიული/სამეცნიერო/კვლევითი/პედაგოგიური/პრაქტიკული საქმიანობა, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელ.ფოსტის მისამართი) დამსაქმებელმა გამოიყენოს ოფიციალური დოკუმენტაციის შედგენისას.

7. შრომითი ურთიერთობების შეჩერება/შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველი შეიძლება გახდეს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევები. დასაქმებულის მიერ შრომის კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლით შრომითი ურთიერთობის შეჩერების მოთხოვნის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შრომითი ურთიერთობა გონივრული ვადით შეაჩეროს. შრომითი ურთიერთობა შეჩერებულად ჩაითვლება მოთხოვნის წარდგენიდან შეჩერების შესაბამისი საფუძვლის აღმოფხვრამდე. შრომითი ურთიერთობის შეჩერების შემთხვევაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დასაქმებულს არ მიეცემა შრომის ანაზღაურება, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

7.2. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) შრომითი ხელშეკრულების (აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის) ვადის გასვლა;

ბ) მხარეთა წერილობითი შეთანხმება;

გ) დასაქმებულის მიერ თანამდებობის/სამუშაოს საკუთარი ნებით, წერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვება;

დ) დასაქმებულის მიერ მისთვის შრომითი ხელშეკრულებით ან/და დამსაქმებლის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების, უხეში დარღვევა, მათ შორის, დასაქმებულის მიერ სასწავლო პროცესის მოთხოვნების (მეცადინეობებისა და შეფასებების ჩატარება ფაკულტეტის მიერ დადგენილი ცხრილის შესაბამისად) სისტემატიური დარღვევა;

ე) ხანგრძლივი შრომისუუნარობა – თუკი შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 60 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, დასაქმებულს გამოყენებული აქვს შვებულება;

ვ) სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;

ზ) დასაქმებულის გარდაცვალება;

თ) დამსაქმებელის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება, დამსაქმებლისთვის საგანმანათლებლო საქმიანობის უფლების (ავტორიზაციის) გაუქმება;

ი) უნივერსიტეტში მოქმედი შინაგანაწესის უხეში ან/და სისტემატიური დარღვევა:

კ) დასაქმებულის პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სასწავლო დისციპლინის აღწერილობაში – სილაბუსში დადგენილი მიზნების შეუსრულებლობა;

ლ) ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ ჩატარებულ სასწავლო პროცესისა და პროფესორ მასწავლებელთა მუშაობის პერიოდულ შეფასებებში დასაქმებულის მუშაობის არადამაკმაყოფილებლადშეფასება;

მ) სტუდენტის ნაშრომის ან ცოდნის არაობიექტური შეფასება;

ნ) სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.

ო) დასაქმებულის ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დასაქმებული ვალდებულია არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.

8. შრომითი დავების გადაწყვეტა

8.1. მხარეთა შორის შრომითი დავის წარმოქმნის შემთხვევაში იგი უნდა გადაწყდეს უშუალოდ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შემათანხმებელი პროცედურების გზით, შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით;

8.2.თუ დავის დროს შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული 14 კალენდარული დღის განმავლობაში, ან თუ მხარემ თავი აარიდა შემათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას, მეორე მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს;

8.3.დავის განხილვა არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეჩერებას.

9. დასკვნითი დებულებები

9.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან. ორივე მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა;

9.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით წესრიგდება უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით ან/და მოქმედი კანონმდებლობით;

9.3.წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არ გააჩნია;

9.4. ხელშეკრულების ხელმოწერიდან ნებისმიერ დროს ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების ძალადაკარგულად ცნობა საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლოს გადაწყვეტილების ან სხვა გარემოების საფუძველზე, არ იქონიებს გავლენას წინამდებარე ხელშეკრულების სხვა დებულებების ნამდვილობაზე. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, ასეთ შემთხვევაში კეთილსინდისიერად აწარმოონ მოლაპარაკებები რათა ხელშეკრულებაში შეტანილ იქნას ისეთი ცვლილებები, რომლებიც შეძლებისდაგვარად შეინარჩუნებს მხარეთა თავდაპირველ მიზანს;

9.5. დასაქმებული, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ იგი გაეცნო უნივერსიტეტის შინაგანაწესსა და აკადემიური დატვირთვის პირობებს.

10. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები:

დამსაქმებელი	დასაქმებული
შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	(დასაქმებულის სახელი, გვარი) ----------
სარეგისტრაციო კოდი 206046045	პ.ნ. (პირადი ნომერი)
მისამართი: ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №31	მისამართი:
რექტორი - ვალენტინა საყვარელიძე ხელმოწერა ----------	ხელმოწერა ----------